



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 335

16 ივლისი
“ --- ” ----- 2022 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი №1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 7 ივლისის №22.1046.1131 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი №1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012218443-67 (№01221854094-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.1046.1131
7 / ივლისი / 2022 წ.

„ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 3 ივლისის N012218443-67 (N01221854094-67) განცხადებით მიმართა ვლადიმერ რობაქიძემ (პ/ნ 01005018491) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო არეალი მდებარეობს ქალაქ თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18, N24, N20, N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.013.207; N01.14.02.013.209; N01.14.02.013.208; N01.14.02.013.210). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 12 723 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

„ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.



დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი საპროექტო კოეფიციენტები:

საპროექტო ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

სექტორი N1 - კ1-0.3, კ2-3.6, კ3-0.4;

სექტორი N2 - კ1-0.3, კ2-3.6, კ3-0.5;

სექტორი N3 - კ1-0.3, კ2-3.6, კ3-0.5;

სექტორი N4 - კ1-0.3, კ2-3.6, კ3-0.4;

მთლიან ტერიტორიაზე - კ1-0.3, კ2-3.6, კ3-0.4;

სართულიანობა: 7-16;

სიმაღლე: 28.6მ- 55 მ;

ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა - 240 ავტოსადგომი;

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით საპროექტო არეალს განესაზღვრება შემდეგი ქალაქშენებლობითი პარამეტრები: კ1=0,7; კ2=4,6 და კ3=0,2; განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით ხდება კ-2-ის სრულად ათვისება, სართულიანობის მინიმალური ზრდით. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმით შემცირებულია კ-1 კოეფიციენტი და გაზრდილია გამწვანების კ-3 კოეფიციენტი.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი არსებული მნიშვნელოვანი ქუჩის უწყვეტად მოშენება და ჩაკეტვა, ამიტომ მოცულობებს შორის გაჩენილია ღიობები.

ტერიტორია დაყოფილია 3 სექტორად; 1 და 2 სექტორებში განსაზღვრულია 19-21 სართული, მე-3 სექტორში კი გათვალისწინებულია 26 და 7-8 სართულიანი შენობების მშენებლობა. 1 და 2 სექტორებში პირველი სამი სართული და ნაწილობრივ მეოთხე, მესამე სექტორში კი საწყისი სართულები დაეთმობა საზოგადოებრივი ფუნქციის ობიექტებს. აღსანიშნავია, რომ რელიეფის სირთულის გამო, საპროექტო შენობების 0 ნიშნულის (დათუაშვილის ქუჩის დონის) ქვემოთ ეწყობა მახიმუმ ოთხი სართული საიდანაც -1 სართული დაეთმობა რეკრეაციულ სივრცეს -2, -3 და პოტენციურად -4 სართულები კი ავტოსადგომებსა და არასაცხოვრებელ ფართებს. ტერიტორიაზე განსაზღვრულია 300 (42 ღია და 258 დახურული) ავტოსადგომის მოწყობა.

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფართების თანაფარდობაა: 25% კომერციული და 75% საცხოვრებელი;

კორექტირებული საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

მიწის ნაკვეთი N1 - 3 829 კვ.მ.

კ-1=0,4; კ-2=4.6; კ-3=0,4

მიწის ნაკვ. N2 - 3 829 კვ.მ

კ-1=0,4 ; კ-2=4.6; კ-3=0,5

მიწის ნაკვეთი N3 - 5 065 კვ.მ

კ-1=0,4; კ-2=4.6; კ-3=0,4

შენიშვნა-ნაგებობა სართულიანობა: 7-26 სართული;

მაქსიმალური სიმაღლე: 28,6 - 87 მეტრი;

ავტოსადგომების რაოდენობა: 300 ავტოსადგომი

ჯამური კოეფიციენტები:

განაშენიანების ინტენსივობის ჯამური ფართი კ-2 - 59 030 კვ.მ.;

ბინების რაოდენობა - 421 ბინა (3 ადამიანი-1 ბინა);

ტერიტორიის საერთო ფართობი: 12 723 კვ.მ.

კ1=0,4 კ2=4.6 კ3=0,4;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 5 ივლისის N61-01221863031 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მიკრორაიონი, წყალსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული N01.14.02.013.183 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული - 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განიკარგა კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ

ვებ-გვერდზე (www.Tbilisi.gov.ge) 2018 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით განთავსებული იყო მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და შემდგომში, აშენებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობიდან განსაზღვრული ფართობის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის პირობების მიხედვით, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად (კ-2) განსაზღვრული გახლდათ - $k_2=3,6$, ხოლო მითითებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის შემოთავაზებულმა გადასაცემმა ფართმა შეადგინა - 7 100 კვ.მ (კ-2=3.6-ის პირობებში საანგარიშო ფართობის - 16.1%).

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო თანახმაა შემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები დღეის მდგომარეობით: N01.14.02.013.207; N01.14.02.013.209; N01.14.02.013.208; N01.14.02.013.210) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 4.6-ით, იმ პირობით, რომ აშენებული შენობა-ნაგებობიდან ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემ ფართზე (7100 კვ.მ) დამატებით, სააგენტოს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცემა კოეფიციენტის გაზრდის შედეგად მომატებული საანგარიშო ფართობის 16.1% - 1968 კვ.მ საცხოვრებელი ფართი ე.წ. თეთრი კარგასის მდგომარეობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მშენებლობის განმახორციელებელ კომპანიას შორის გასაფორმებული ხელშეკრულების/შეთანხმების პირობების შესაბამისად.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი ვალდებულების გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012218443-67 (N01221854094-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი N1-2-4-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის N136 განკარგულებით

საქართველო, თბილისი, 0160, უ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით შოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემავენოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01221863031
თარიღი: 05/07/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2022 წლის 04 ივლისის N16-01221854248 (05.07.22 N12-0122186204-61) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა, N24 არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.02.013.207; 01.14.02.013.209; 01.14.02.013.208; 01.14.02.013.210;) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში ცვლილების დამტკიცების საკითხს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია, წარმოადგენს საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლელებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სიმბოლურ ფასად გადაცემულ ქონებას, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული N01.14.02.013.183 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული - 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განიკარგა კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.Tbilisi.gov.ge) 2018 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით განთავსებული იყო მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და შემდგომში, აშენებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობიდან განსაზღვრული ფართობის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის პირობების მიხედვით, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად (კ-2) განსაზღვრული გახლდათ - $k_2=3,6$, ხოლო მითითებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის შემოთავაზებულმა გადასაცემმა ფართმა შეადგინა - 7 100 კვ.მ ($k_2=3,6$ -ის პირობებში საანგარიშო ფართობის - 16.1%).

შესაბამისად გაცნობებთ, რომ სააგენტო თანახმაა შემოაღწიოს მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები დღეის მდგომარეობით: 01.14.02.013.207; 01.14.02.013.209; 01.14.02.013.208; 01.14.02.013.210) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 4.6-ით, იმ პირობით, რომ შემოაღწიოს მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობიდან ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემ ფართზე (7100 კვ.მ) დამატებით, სააგენტოს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცემა კოეფიციენტის გაზრდის შედეგად მომატებული საანგარიშო ფართობის 16.1% - 1968 კვ.მ საცხოვრებელი ფართი ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობაში, აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოსა და მშენებლობის განმახორციელებელ კომპანიას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



[illegible]

მშენებლობის განხორციელების საფეხურები


I როგო - ტეროლოროის მომხადება, ხაყრდანი კვლგებისა და უსაფრთხოების ჯგბორების მოწყობა

II 6020 - სავალო და ხაინძინო იფნახტე: 1970-იან წლები


II რეგიონი - მდინარე „მუხრანის“ აუზი

V როგო - ტერიტორიის კუთვნილება და გამოყენება


၀၆၆၆၆၆၆၆




II 6536390



III სპეციალური



IV სპეციალური




096033630.



პროექტის სახელწოდება

[illegible]

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՆՏԵՐՆԱԿԱՆ				
ՈՒՍՏԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԵԽԱՆԻԿԱ	ՀԱՆՈՒ 3. ժամացույց	ՀԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ	ՈՒՍՏԱՆԻ	
Այս հիմնական ժամացույցը ստացվել է		Ինքնակազմակերպված պայմանագրով		
ՀԱՅԱՍՏԱՆ	1 000	ՈՒՍՏԱՆ		
ԼՈՍՏԱՆ		ՀԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ	ՄԵԽԱՆԻԿԱ	ՀԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
Այս				ՀԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

[illegible]


პრემიის სახელობა

მრავალმხრივი სახორეკელი კონკლუზიის დაგეგმვაზე, ს.ა. #
01.14.02.013.207, 01.14.02.013.208; 01.14.02.013.209; 01.14.02.013.210
ნაგებობა, რომელიც, ფაქტობრივად, დაგეგმულია III,
კვადრანტი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარე
კონკრეტულ პუნქტში, რეკონსტრუქციის (გვერდი 239-240).

[illegible]






[illegible]





ფუნქციური გადაწყველების წილი:
საცხოვრებელი-75%
კომერციული-25%







პროექტის სახელწოდება


მრავალმნიშვნილიანი საქონელები კომპლექსის დაგეგმვაში
სსკ, #01.14.02.013.207; 01.14.02.013.208; 01.14.02.013.209;
01.14.02.013.210 ნაგებობებზე, კიბოვლის, ივრდობი
ნუჯდები, მიკრონაიბი III, ვარსკვლავი III, წყალსაცხვის
ტერიტორიის მიმდებარე
ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის გეგმის (ცვლილება)

[illegible]






შეთანხმებული მოცულობა



კორექტირებული მოცულობა

შეთანხმებული მოცულობა



კორექტირებული მოცულობა

